

დანართი D მშენებლობის ფაზის “ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისა და მონიტორინგის გეგმა” (განახლებული)



სარჩევი

1	შესავალი	1
2	მართვის გეგმებში შეტანილი ცვლილებები	2

ცხრილები

ცხრილი 1: SCPX ESMMP-ში შეტანილი ცვლილებების რეესტრი	3
--	---

1 შესავალი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ESIA) განხორციელდა შემოთავაზებული სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (SCPX) პროექტის 56"-დიამეტრიანი საინჟინრო კონცეფციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად და ანგარიშის მოსამზადებლად. SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშში შესწავლილი იქნა შემოთავაზებული SCPX პროექტის კომპონენტების უარყოფითი და დადებითი, ბიოფიზიკური და სოციო-ეკონომიკური ზემოქმედებები.

SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში მიღებული იქნა საინჟინრო პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები იმ საჭიროების გათვალისწინებით, რაც უკავშირდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებას, მინიმუმზაციასა და შემცირებას. სადაც იდენტიფიცირებულ იქნა პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება, SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მომზადების დროს გამოკვლეული იქნა ფარგლები, რომლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ამ ზემოქმედებების შერბილება მოწინავე პრაქტიკის სამუშაო მეთოდების გამოყენებით.

SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ფარგლებში მომზადდა ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის და მონიტორინგის გეგმა (ESMMP) (იხ. SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის დანართი D), რომელიც აღწერს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის ღონისძიებებს, რომლებიც დანერგილი და გატარებული უნდა იქნას სამშენებლო ფაზის დროს პროექტის SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად.

SCPX საინჟინრო პროექტის შემდგომი დაზუსტების შედეგად გადაწყდა მილსადენის დიამეტრის შემცირება 56"-დან 48"-მდე. ამ ფაქტმა თავის მხრივ გამოიწვია SCPX მილსადენის გაფართოების საჭიროება საქართველოში დაახლოებით SCPX კმ56.6-დან კმ62.3-მდე (შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთი). დღუშის სადგური, რომლის განთავსებაც თავდაპირველად შემოთავაზებული იყო კმ56.6-თან, ახლა განთავსდება კმ62.3-თან. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში შემოთავაზებულია თურქეთის საზღვართან ტრანს-ანატოლიურ გაზსადენთან (TANAP) დაკავშირება მილსადენის ახალი, დაახლოებით 2.5კმ სიგრძის მონაკვეთით (მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი). დამატებითი მონაკვეთი დაიწყება დაგეგმილი SCPX წნევის მარეგულირებელი და გამზომი სადგურიდან (PRMS), რომელიც განთავსდება უკვე არსებულ SCP ინფრასტრუქტურასთან (უბანი 80). ყველა ზემოთხსენებული ცვლილება ESIA-ს დამატებაში ერთობლივად მოხსენიებულია, როგორც „საინჟინრო პროექტის განახლებები“.

ESMMP, რომელიც მომზადდა როგორც SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ნაწილი, ძირითადად გამოსადეგია 48"-დიამეტრიანი მილსადენის კონცეფციის ESIA-სთვისაც. თუმცა, საინჟინრო პროექტის განახლებამ გამოიწვია რიგი ახალი ვალდებულებების შექმნა და ასევე SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშში მოცემული ზოგიერთი ვალდებულების განახლება. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს რეესტრს, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი შესაბამისი მართვის გეგმა და თავი, ახალი ვალდებულებები და ასევე შეცვლილი ვალდებულებები ცვლილების განმარტების ტექსტონ ერთად.

2 მართვის გეგმებში შეტანილი ცვლილებები

ქვემოთ შეჯამებულია ცვლილებები, რომლებიც შევიდა ESMMP-ში, რომელიც წარმოადგენს SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ნაწილს (იხ. ცხრილი 1). ცხრილში მოცემულია სამი ტიპის ცვლილებები:

- ახალი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა საინჟინრო პროექტის განახლების შედეგად და არ ყოფილა წარმოდგენილი SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშში
- ვალდებულებები, რომლებიც მოცემულია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშში, თუმცა შეიცვალა საინჟინრო პროექტის განახლების გამო; მოცემულია მითითება თავდაპირველ ვალდებულებაზე და
- დამატებითი დამხმარე ტექსტი.

ცხრილი 1: SCPX ESMMP-ში შეტანილი ცვლილებების რეესტრი

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
აღდგენის გეგმა							
ახალი ვალდებულებები არ არის							
ლანდშაფტის მართვის გეგმა							
ცვლილებები არ არის							
ეკოლოგიური მართვის გეგმა							
9.4.4	A19	19.03	მშენებლობა	ეკოლოგიური მართვის კონტრაქტორი	N/A	<p>თუ სამუშაო უბანზე აღმოჩენილი იქნება ხმელთაშუაზღვის კუ (<i>Testudo graeca</i>) ან ქართული კუ (<i>Testudo Ibera</i>), მაშინ ინდივიდებს პროექტის ეკოლოგი გადაიტანს სამუშაოების ადგილიდან უსაფრთხო დისტანციაზე (50მ+). კვერცხებს ან მცირე ასაკის ინდივიდებს პროექტის ეკოლოგი მოათავსებს ქვიშიან ყუთში და გადაიტანს ახლომდებარე შესაბამის ჰაბიტატში, სადაც შესაძლებელი იქნება ბუდის მოწყობა.</p>	შეცვლილ ვალდებულებაში დამატებულია სახეობა ქართული კუ (<i>Testudo Ibera</i>)

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
9.4.5.2	A19	21.04	მშენებლობა	კონტრაქტორი	N/A	თხრილი რეგულარულად შემოწმდება (კერძოდ, სენსიტიურ ადგილებში) ცოცხალი ბუნების ინდივიდების დასაფიქსირებლად; მაგ., იმ ტერიტორიებზე სადაც შესაძლებელია კუს პოვნა (კმნ29-31 და კმნ54-62.3) და სადაც შეიძლება ბინადრობდეს ოთხზოლიანი მცურავი გველი (კმნ0-12).	შეცვლილ ვალდებულებაში დამატებულია კმნ56.6-63
	A19	X7.21	მშენებლობა	კონტრაქტორი	N/A	აფეთქების სამუშაოების ჩატარებამდე სამშენებლო დერეფანი შემოწმდება ცოცხალი ბუნების ინდივიდების დასაფიქსირებლად (განსაკუთრებით სენსიტიურ ადგილებში), მაგალითად, სადაც შესაძლებელია კუს პოვნა (კმნ56.6-62.3).	ახალი ვალდებულება

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
9.4.3	A17	X7.19	მშენებლობა	კონტრაქტორი	კონტრაქტორი განახორციელებს შემდეგ ვალდებულებებს, რაც შეამცირებს შემფოთებას ფოთლოვანი განადგურებას კმნ2-2.5-თან ქართული ბერყენას ინდივიდებს:	PRMS კმნ0.7-1 და 2.2 – 2.5 უბნებზე კონტრაქტორი სამშენებლო დერეფნის სიგანეს განსაზღვრავს ისე, რომ სადაც ეს შესაძლებელია და დამკვიცებულია კომპანიის მიერ, ან მოხდეს მწიფეხნოვანი ხე-მცენარეების გვერდის ავლა. მშენებლობის დაწყებამდე, სამშენებლო დერეფნის საზღვრებს შიგნით და დერეფნის უშუალო საზღვარზე მდებარე დაცული და შესანარჩუნებელი მწიფეხნოვანი ხე-მცენარეები მონიშნება და მშენებლობის დროს დაცული იქნება დაზიანებისგან. შემუშავდება და განხორციელდება კმნ2.2-2.5-თან არსებული ტყიანი ადგილის აღდგენის სქემა.	ახალი ვალდებულება
ნარჩენების მართვის გეგმა							
10.4.3.6	A7		მშენებლობა	კონტრაქტორი	კონტრაქტორი შეიმუშავებს სამუშაოს შესრულების მეთოდოლოგიას, სადაც აღწერილი იქნება როგორ მოხდება აზბესტის შემცველი მასალების და აზბესტით დაბინძურებული ნიადაგის მართვა. სამუშაოს შესრულების		N/A

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
					<p>მეთოდოლოგია მომზადდება კონტრაქტორის მიერ და ხელმისაწვდომი იქნება GOGC-თვის. სადაც შესაძლებელია, მითითება გაკეთდება საერთაშორისო სტანდარტებზე (როგორც მოწინავე პრაქტიკის მეთოდოლოგიის წყარო). აზბესტის ნარჩენები განთავსდება აზბესტის ნარჩენების შესანახ სპეციალურ კონტეინერში, რუსთავში არსებულ BP-ს ნაგავსაყრელზე. სამუშაოს შესრულების მეთოდოლოგიას შინაარსი დამოკიდებული იქნება თითოეულ ადგილას იდენტიფიცირებულ აზბესტის ტიპსა და რაოდენობაზე, თუმცა მეთოდოლოგიაში სავარაუდოდ იქნება</p>		

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
					<p>გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ტერიტორიის მომზადება და მისასვლელის შეზღუდვა 2. შესაბამისი პერსონალის მიერ დამცავი საშუალებების გამოყენება 3. გასუფთავების პროცედურები ქვემოთ ჩამოთვლილის ჩათვლით: <ul style="list-style-type: none"> • უბანზე არსებული აზბესტის ნარჩენების რაოდენობის და ტიპის შეფასება • აზბესტის ტიპის და რაოდენობის შესაბამისის გასუფთავების მეთოდის შერჩევა • ვიზუალური დათვალიერება, იმის განსასაზღვრად, რომ უბანი 		

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
					სათანადოდაა გაწმენდილი <ul style="list-style-type: none"> • აზბესტის მასალის სათანადო შენახვა, გადატანა და მარკირება 		
დაბინძურების პრევენციის გეგმა							
11.4.4	A5	D5.006	საინჟინრო დაპროექტება	კომპანია	N/A	მილსადენის თხრილის მონაკვეთი, რომელიც კვეთს რუსთავის ტექტონიკურ რღვევას, ტრაპეციულად გაითხრება, ამოიფინება გეოტექსტილის მემბრანით და ამოივსება შეუკვრელი, სპეციალურად სორტირებული შემავსებელი მასალით.	შეცვლილი ვალდებულება ეხება თხრილის შევსებას
11.4.3	A24	X8.01	მშენებლობა	კონტრაქტორი	N/A	განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მტვრის გაფრქვევის ჩამხშობი ღონისძიებების განხორციელებას, იქ სადაც სამშენებლო დერეფანი გადის სამხედრო ბანაკთან (კმნ3), ახალი სამგორის (კმნ24) საცხოვრებელ სახლებთან, კრწანისის (კმნ40) საცხოვრებელ სახლებთან, კუმისის (კმნ45) აგარაკებთან და სკოლასთან და სხვა შენობებთან (კმნ1.8, კმნ27.5, კმნ28.5, კმნ42.5, PRMS კმნ1.2, PRMS კმნ1.5, PRMS კმნ1.8) ახლოს.	შეცვლილი ვალდებულება

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
11.4.8.2	A26	X9.06	მშენებლობა	კონტრაქტორი	კონტრაქტორი შეამცირებს არსებული მილსადენების და მესამე მხარის სხვა ინფრასტრუქტურების (სახლების ჩათვლით) აფეთქების დროს დაზიანების რისკებს. კონტრაქტორი განახორციელებს შემდეგ ვალდებულებას:	აფეთქების ძირითადი სამუშაოების ჩატარებამდე განხორციელდება საცდელი აფეთქება SCPX თხრილის შესაფერის ადგილზე, რომელიც, არსებული მილსადენებიდან შემლებისდაგვარად შორს მდებარეობს.	ახალი ვალდებულება

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
11.4.8.2			მშენებლობა	კონტრაქტორი	კონტრაქტორი ჩაატარებს საცდელ აფეთქებას ვიბრაციის შესახებ მონაცემების მისაღებად, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება თავდაპირველი კავშირის დადგენა ვიბრაციის გაზომილ დონეებსა და აფეთქების საპროექტო პარამეტრებს შორის ისე, რომ გამოთვლილი იქნას ძირითადი აფეთქება და შემცირდეს არსებული მილსადენების და მესამე მხარის ინფრასტრუქტურის (სახლების ჩათვლით) დაზიანების რისკი.		N/A

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
11.4.8.2	A30	X12.01	მშენებლობა	კონტრაქტორი	კონტრაქტორის დაბინძურების პრევენციის გეგმა უნდა მოიცავდეს დეტალურად აღწერილი ღონისძიებებს, რომლებიც შეამცირებს აფეთქებით გამოწვეული ავარიული შემთხვევების რისკებს. კონტრაქტორი განახორციელებს შემდეგ ვალდებულებას:	ტერიტორიაზე, სადაც განხორციელდება აფეთქებები და რისკის შეფასების შედეგად გამოვლინდება მოსახლეობის ან საკუთრებისთვის რისკების შემცირების საჭიროება, გამოყენებული იქნება სპეციალური მასალა, რომლითაც ხდება ასაფეთქებელი ტერიტორიის დაფარვა ან გატარდება სხვა საჭირო ღონისძიებები.	ახალი ვალდებულება
11.4.8.2	A30	X12.02	წინასამშენებლო	კონტრაქტორი		ასაფეთქებელი ტერიტორიების გარშემო დაწესდება და განხორციელდება საზოგადოებისთვის აკრძალული ზონები.	ახალი ვალდებულება

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
რესურსების მართვის გეგმა							
N/A	A1	X2.01	მშენებლობა	კონტრაქტორი	სადაც სამშენებლო დერეფანი გაზრდილია, ქვის საწყობის განთავსებისა და ქვის დამუშავებისთვის (SCPX კმ56.6-სა და კმ62.3 შორის), კონტრაქტორი შეაფასებს ვარიანტებს რათა განსაზღვროს ადგილები, სადაც დამატებითი სამშენებლო დერეფანი შეიძლება ლოკალურად შემცირდეს სტანდარტულ სიგანემდე (36მ-მდე). კონტრაქტორის განახორციელებს შემდეგ ვალდებულებას:	პროექტი ითანამშრომლებს მილსადენის მშენებლობის კონტრაქტორთან, იმის დასადგენად პრაქტიკულია თუ არა სამშენებლო უბნის გარეთ არსებული ადგილობრივი ქვის სამტეხლოს გამოყენება, კმ56.6 - 62.3 შორის მშენებლობით დაზიანებული მიწის ფართობის შემცირების მიზნით.	ახალი ვალდებულება
სამშენებლო ბანაკის მართვის გეგმა							
ცვლილებები არ არის							
ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მართვის გეგმა							
ცვლილებები არ არის							

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოების და უშიშროების გეგმა							
ცვლილებები არ არის							
საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმა							
ცვლილებები არ არის							
ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და პროფესიული სწავლების გეგმა							
ცვლილებები არ არის							
შესყიდვებისა და მიწოდების გეგმა							
ახალი ვალდებულებები არ არის							

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა							
19.4.1	A27	X10.16	წინასამშენებლო	კომპანია	კონტრაქტორი განახორციელებს კონკრეტული ადგილისთვის შექმნილ შემდეგ ვალდებულებებს (კონტრაქტორის დახმარებით):	დეტალური საინჟინრო დაპროექტების დროს შეფასდება საპროექტო ტერიტორიის სიგანე, მისი დავიწროვების მიზნით, რათა მოხდეს ამ ტერიტორიის ფარგლებს შიგნით არსებული შესაძლო ან დადასტურებული არქეოლოგიური უბნების გვერდის ავლა. შესაძლო არქეოლოგიური უბნები, რომელთა გვერდის ავლა ვერ ხერხდება გახდება მე-2 ფაზის შეფასების საგანი. თუ შეფასების შედეგად რეკომენდირებული იქნება გათხრის სამუშაოების ჩატარება, პროექტი მე-3 ფაზის გათხრების სამუშაოს მოცულობას შეათანხმებს კულტურული მემკვიდრეობის შესაბამის ეროვნულ ინსტიტუტებთან.	ახალი ვალდებულება

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
19.4.1	A27	X10.17	წინასამშენებლო	კონტრაქტორი	კონტრაქტორი განახორციელებს შემდეგ ვალდებულებებს	კულტურული მემკვიდრეობის უბანზე BPGA15 (ორჭოსანთან) ჩატარდება კულტურული მემკვიდრეობის შეფასებისათვის გათვალისწინებული მე-2 ფაზის სამუშაოები და იმ შემთხვევაში, თუ უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება მოდიფიცირებული სამშენებლო მეთოდების (მაგ.: მიწისზედა კონსტრუქციით ან სავალი გზის ბიოდეგრადირებადი ჯვალთი ან გეოტექსტილითა და შემავსებლით დაფარვა) გამოყენება კომპანიის მიერ არ ჩაითვალოს შესაძლებლად, ყველა იმ უბანზე, რომელიც აღმოჩნდება არქეოლოგიურად მნიშვნელოვანი, ჩატარდება სრული კვლევები. მშენებლობის დაწყებამდე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებთან ჩატარდება კონსულტაციები მოდიფიცირებული სამშენებლო ღონისძიებების გამოყენების მეთოდების შესახებ.	ახალი ვალდებულება

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
19.4.1	A27	X10.18	წინასამშენებლო	კონტრაქტორი		კულტურული მემკვიდრეობის შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ჩატარდება კონსულტაციები თანამედროვე პერიოდის თურქი მესხების სასაფლაოსთან (BPGA 15,IV-214) დაკავშირებით და სასაფლაოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, სადაც შესაძლებელია გამოყენებული იქნება უტრანშეო გადაკვეთის ან სხვა მოდიფიცირებული სამშენებლო მეთოდი.	ახალი ვალდებულება
19.4.1	A27	X10.19	წინასამშენებლო	კონტრაქტორი	კომპანია განახორციელებს შემდეგ კონკრეტული ადგილისთვის ნაკისრ ვალდებულებებს (კონტრაქტორის დახმარებით)	CH423 უბნის მე-2 ფაზის შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდირებული იქნა შემდგომი გათხრების ჩატარება; შესაბამისად პროექტი კულტურული მემკვიდრეობის შესაბამის ეროვნულ ინსტიტუტებთან შეათანხმებს მე-3 ფაზის გათხრების სამუშაოს მოცულობას	ახალი ვალდებულება

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
მიწის მართვის გეგმა							
20.4.1	A32	X13.03	წინასამშენებლო	კომპანია	კომპანია განახორციელებს შემდეგ ვალდებულებას:	მიწისა და მოსავლის საკომპენსაციო გადახდები გადახდილი იქნება და საჭიროების შემთხვევაში განახლდება 2014 წელს, საქართველოში მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოში (LACF) აღწერილი განახლებული პრინციპების შესაბამისად.	ახალი ვალდებულება
ოფრაციების მართვის გეგმა							
N/A	A25	OP137	საექსპლუატაციო	კომპანია		CSG1-ზე, CSG2-ზე, PRMS-ზე, ჩამკეტ სარქველსა და დგუმის სადგურზე სარემონტო სამუშაოების მიზნით გაზის დიდი მოცულობების ატმოსფეროში გაშვებისას ნაკადის სიჩქარემ შეიძლება გამოიწვიოს LAmax ხმაურის დონე, რომელიც გადააჭარბებს პროექტის სტანდარტებს. ამიტომ ეს სამუშაოები არ ჩატარდება 23:00 - 07:00 სთ-ებს შორის.	შეცვლილი ვალდებულება მოიცავს დგუმის სადგურს და ჩამკეტ სარქველს

სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატება
 საბოლოო ანგარიში

ESMMP-ს თავი	SCPX საკითხი	SCPX No.	განრიგი	პასუხისმგებელი მხარე	SCPX-ის დამატებითი ტექსტი	ESIA-ს დამატების ვალდებულება	ცვლილება
N/A	A25	OP138	საექსპლუატაციო	კომპანია	N/A	ადგილობრივ დასახლებებს წინასწარ ეცნობება CSG1-ზე, CSG2-ზე, PRMS-ზე, ჩამკეტ სარქველსა და დგუშის სადგურზე ისეთი სარემონტო სამუშაოების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ გამოიწვევს განსაკუთრებით ძლიერ ხმაურს.	შეცვლილი ვალდებულება მოიცავს დგუშის სადგურს და ჩამკეტ სარქველს
N/A	A3	OP149	საოპერაციო	კონტრაქტორი	N/A	ხევის სიახლოვეს ჩატარდება მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის მშენებლობის შემდგომი შეფასება, რათა შემოწმდეს უბნის მდგომარეობა და განისაზღვროს არის თუ არა საჭირო დამატებითი მონიტორინგი ან პრევენციული ღონისძიებები.	ახალი ვალდებულება